



#7 (39), ივლისი, 2010

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რევიზიებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს



საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება ეროვნული კონსულტაცია

25-27 ივნისს ბაკურიანში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის საკითხებს.

შეხვედრა ორ ძირითად მიზანს ისახავდა: ერთის მხრივ, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვას განვითარების ეფექტურობის გლობალურ პროცესში, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ღია ფორუმის ეგიდით მიმდინარეობს და მეორეს მხრივ, საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა 35 წარმომადგენელი, მათგან 27 საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, 7 დონორი ორგანიზაციებიდან და 2 ხელისუფლებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობიდან.

შეხვედრა ორგანიზებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ. ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების კონფედერაციის – CONCORD და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება ეროვნული კონსულტაცია

(გაგრძელება)

შეხვედრის დასაწყისში მონაწილეებმა იმსჯელეს პარიზის დეკლარაციის და აკრას სამოქმედო გეგმის ძირითად კომპონენტებზე. აღინიშნა, რომ აქცენტის გადატანა დახმარების ეფექტურობიდან განვითარების ეფექტურობაზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამ პროცესის თანაბარ უფლებიან პარტნიორებად აღიარება აკრას დოკუმენტში პროგრესული და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იყენენ უფრო ეფექტური და აქტიურად ჩაერთონ განვითარების პროცესში. მონაწილეებმა იმსჯელეს განვითარების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლზე. აღინიშნა, რომ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული განვითარების პროცესის სხვადასხვა მიმართულებებში და მათ შედარებით უპირატესობა აქვთ მთელ რიგ ასპექტებში. კერძოდ, სექტორში აკუმულირებულია ცოდნა განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, არსებობს ამ ცოდნის გადაცემის დამუშავებული მექანიზმები, ორგანიზაციებმა კარგად იციან ადგილობრივი და თემატური პრობლემატიკა, აქვთ კვლევის უნარჩვევები, ხშირ შემთხვევაში ისინი გამოდიან ახალი და ნოვატორული ინიციატივებით. თუმცა არსებობს ბევრი გამოწვევა, რომელიც სექტორის წინაშე დგას მოცემული მომენტისათვის. მათ შორის განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სექტორი მნიშვნელოვნად არის დასუსტებული, დაბალია საზოგადოებრივი აღიარება, უკუკავშირი მოსახლეობასთან, არ არსებობს განვითარების ერთიანი ხედვა, მოიკოჭლებს პარტნიორობა და სექტორული სოლიდარობა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. მონაწილეებმა დამოუკიდებელ ჯგუფებში იმსჯელეს შიდა და გარე ფაქტორებზე, რომლებიც

გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე. თითოეულმა ჯგუფმა პლენარულ სხდომაზე წარმოადგინა იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მოცემულ რეალობაში ყველაზე მეტად აქტუალურია. შიდა ფაქტორებში გამოიყო ოთხი გამსხვილებული საკითხი: ინსტიტუციური განვითარება, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ეფექტურობა, და პარტნიორობა. თითოეულ ფაქტორთან მიმართებაში გაანალიზდა არსებული სიტუაცია და გამოწვევები. ხაზი გაესვა ისეთი საკითხების მნიშვნელობას და პრიორიტეტულობას, როგორცაა – ახალი ლიდერები და ახალი სახეები, დაფინანსების ჰომოგენურობა, მონიტორინგის და შეფასების სისტემების და უნარების დეფიციტი, სამიზნე ჯგუფების დაბალი ჩართულობა, საზოგადოებასთან ანგარიშგების არაეფექტური პრაქტიკა, პლატფორმების, ქსელების, და კოალიციების სიმცირე და ა.შ. გარე ფაქტორების ანალიზისას გამოიყო სამი ძირითადი საკითხი: ურთიერთობა ხელისუფლებასთან, დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა, დაფინანსების წყაროები. დისკუსიების და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტული გამოწვევები – ხელისუფლებასთან ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა, ხელისუფლების სიხისტე პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე დიალოგში, დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციის დეფიციტი, დაფინანსების წყაროების ჰომოგენურობა. შეხვედრის მეორე დღეს მონაწილეებმა იმსჯელეს იმ ღირებულებით პრინციპებზე, რომლებიც

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)



საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება
ეროვნული კონსულტაცია

(გაგრძელება)

განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობას. გამოიყო 26 პრინციპი, რომლებიც მონაწილეთა აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეალობისათვის. კერძოდ, ფოკუსი საზოგადოებაზე, სოლიდარობა, კავშირი მოსახლეობასთან, მდგრად შედეგებზე ორიენტირება, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, ფოკუსი სიღარიბის დაძლევაზე, თანმიმდევრულობა, პარტნიორობა|თანამშრომლობა, ხარჯეფექტურობა, ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა, მდგრადი გავლენა, კეთილსინდისიერება, მოწოდებულობა, წარმომადგენლობითობა|ლეგიტიმურობა, სამოქალაქო გამბედაობა, კანონის უზენაესობა, თვითგანვითარება, მაღალი ხარისხის სერვისები, მიზნობრივი ჯგუფის ჩართულობა, მოხალისეობა, დამოუკიდებლობა|სიუკერძობელობა, თანასწორობა|თანაბარი შესაძლებლობები|ტოლერანტობა, პრინციპულობა, გენდერული თანასწორობა, საქმიანობის კოორდინაცია. გამოყოფილი პრინციპებიდან, მონაწილეობითი რანჟირების მეთოდით შეირჩა 6 ყველაზე პრიორიტეტული პრინციპი: ფოკუსი საზოგადოებაზე, ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა, პარტნიორობა, მდგრად შედეგებზე ორიენტირება სამოქალაქო გამბედაობა/პასუხისმგებლობა, მაღალი ხარისხის სერვისი. მონაწილეებმა ჯგუფებში შეიმუშავეს პრიორიტეტული პრინციპების ეფექტური რეალიზაციის გზები. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს ხელსაყრელი გარემოს სტანდარტებზე და შეიმუშავეს გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. დონორების პოლიტიკასთან მიმართებაში გამოიკვეთა ისეთი

საკითხები, როგორცაა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დონორებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, პროგრამების უფრო ეფექტური მისადაგება არსებულ პრობლემებთან, პროგრამული დაფინანსება და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, დონორებს შორის უფრო ეფექტური კოორდინაციის აუცილებელობა, ბიუროკრატიული პროცედურების მინიმიზაცია, გრძელვადიან პოლიტიკებზე ორიენტირების აღება. კანონმდებლობასთან მიმართებაში აღინიშნა, რომ საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ განვითარებულია, თუმცა იგი საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, რათა მან შეიძინოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობი ხასიათი. ამისათვის მნიშვნელოვანია, საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება და მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მასტიმულირებელი დებულებების შეტანა, აგრეთვე ბიზნესის მხრიდან სექტორის მხარდაჭერის მეტი სტიმულირება საკანონმდებლო დონეზე. აუცილებელია მოხალისეობის სამართლებრივი რეგულირება, რომლის არ არსებობაც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ეფექტური მექანიზმების/ფორმების ჩამოყალიბება, მისი ინსტიტუციონალიზაცია და დაფუძნება გამჭვირვალობისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის პრინციპებზე. მონაწილეებმა ცალკე საკითხად გამოყვეს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. განხილულ იქნა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა ანგარიშვალდებულება საზოგადოებასთან, დონორებთან და სახელმწიფოსთან,

გამჭვირვალობა, ნდობის ჩამოყალიბება და ცნობადობის გაზრდა. აღინიშნა, რომ ანგარიშვალდებულება დონორებთან და სახელმწიფოსთან მოწესრიგებულია, რადგან ეს საკითხი დარეგულირებულია კანონმდებლობით და კონტრაქტებით. რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას საზოგადოებასთან და სამიზნე ჯგუფებთან, გამოწვევები ამ საკითხში ჯერ კიდევ სერიოზულია. შემუშავებულ იქნა წინადადებები საკითხის მოსაგვარებლად. აღინიშნა, რომ აუცილებელია ანგარიშვალდებულების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და ე.წ სექტორული ანგარიშვალდებულების კულტურის დანერგვა. შეხვედრის ბოლოს შეჯამდა გაწეული სამუშაო. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი პროცესია და მასზე აქცენტების გადატანა დროულია. პროცესის გაგრძელება და მისი სწორი მიმართულებით წარმართვა მნიშვნელოვნად წაადგება როგორც საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას, ასევე ქვეყნის განვითარების ეფექტურობას. შეხვედრის მონაწილეთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო სამუშაო შეხვედრის ანგარიშის მომზადებაზე და პროცესების შემდგომ განვითარებაზე. ხაზი გაესვა ასევე, რომ პროცესები უნდა წარმართოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ეროვნული პლატფორმის შექმნისკენ.



ვორქშოფი ჟურნალისტებისთვის

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა სამეგრელოს რეგიონში (17 ივლისს ფოთში და 18 ივლისს ზუგდიდში) ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის ვორქშოფები გამართა სოციალური საკითხების გაშუქების ეთიკის საკითხებზე. შეხვედრაზე მოწვეული იყო ჟურნალისტი და ექსპერტი დავით პაიჭაძე. ვორქშოფებმა დიდი დაინტერესება გამოიჩვია რეგიონის ჟურნალისტებში. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სხვა რეგიონებშიც გეგმავს მსგავსი გასვლითი ვორქშოფებისა და სემინარების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს მედიაში სოციალური თემების გაშუქების ხარისხს.

შინმოვლის პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში 40 ათასზე მეტი ადამიანი საჭიროებს ხანგრძლივ მოვლას – ასეთია მონაცემები, რომელსაც კოალიცია შინ მოვლა საქართველოში ავრცელებს. კოალიცია უალტერნატივოდ მიიჩნევს შინმოვლის უპირატეს განვითარებას, თუმცა ეს არ უარყოფს დაწესებულებებში მოვლის პრაქტიკას. 29 ივნისს, სასტუმრო თბილისი მარიოტში, კოალიციის ინიციატივით გაიმართა შინმოვლის პერსპექტივების შესახებ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ხელისუფლების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კოალიცია 2006 წელს დააფუძნა სამმა ორგანიზაციამ: ფონდმა „თაობამ“, კავშირმა „ადამიანმა და ბუნებამ“ და ონკოპრევენციის ცენტრმა. 2007 წლიდან კოალიცია მუშაობს ერთიანი შინ მოვლის მოდელზე, რომელიც საჭიროებს მხარდაჭერასა და შემდგომ ტესტირებას.

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა:

welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა

და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ,

ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიებების ანონსის გავრცელებას

ელექტრონული ფოსტით, ღონისძიებების გაშუქებას

საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ,

რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში,

მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

